

# საშუალო

ფანი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე წუმერით ერთი შაურის ღირებულება 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს განსეის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადასაცემად. იქვე მოწერის ღირს 3 მ., და ნარჩენი კიდევ 1 მ. ღირს. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტრით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

წელი  
როთიკა

№ 157 ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი № 157

ტელეფონი  
№ 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაგვარად,  
ორივე ტყბილია ძმობილი, მირჩევნის ორსავე თვალზედა,  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი  
№ 76.

ჭირისუფალნი და ნათესავნი ამით აუწყებენ მეგობართა, ნაცნობთ და ქართველ საზოგადოებას, რომ 22 აგვისტოს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის, ნეტარ ხსენებულის  
**ვარლამ ლევანის ძის გელოვანის**  
სამარხზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვილი.

ელექტრო-**„რადიუმი“** თეატრი  
ოთხშაბათს, 20 აგვისტოდან განსაკუთრებით მოზარდილთათვის ნაჩვენები იქნება სურათი

**მარია ლუსიევა.**  
6 ნაწ. ამფითეატროვის რომანიდან.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი **წყვილია და მისი საუხუანი.** ღრამა 6 ნაწ. ნათამაშევია ცნობ. არტისტის **მაქსიმოვის** მონაწილეობით.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**  
**ფანსასველაჰისა და საგალანტერიო საქონლისა.**  
რომლის ფასები 50%-დან 75%-დამ დაკლებულია.  
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ქ. ქუთაისში მიღებულია ახალი ნიმუში თავსაფრისა შემხუთველ გაზის საწინააღმდეგოთ.  
ქუთაისის ქალთა წრე დაბეჯითებით მოუხმობს სამუშაოთ ყველა მსურველს. მუშაობა სწარმოებს ყოველ დღე, შაბათს გარდა, საღამოს 5-9 საათამდე ფეიქაროვის სახლში, გენერლის ქუჩაზე. შემობრძანდით ყოველ დღე რამდენიმე წუთს, გამოსკერით, შეკერეთ თავსაფარი და მით შეუნარჩუნეთ სიცოცხლე ომში წასულს ერთერთ თქვენს მახლობელთაგანს. 1-1 891.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებამ მოკომუშაული  
**მ. გ. კვიციანიძის**  
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).  
აცხადებს, რომ მისადები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აზრითვე საანბანო განყოფილება, სადაც მიიღებენ სრულიად მოუზადებელი ბავშვები.**

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მარია**—მათე ყაჩაღათ წოდებული. იხილება ყველა წიგნის მაღაზიაში.

## ო მ ი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)  
კავკასიის ასპარაჟი.

**თფილისი.** 18 აგვისტო. თექვსმეტ აგვისტოს განმავლობაში მთელ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ აქა იქ ჩვენსა და მტრის მხვერავებს შორის წვრილი შეტაკება ხდებოდა.

**უმაღლეს მთავარსარდლის უბანიდან.**

**შეტოვებადი.** 18 აგვისტო. რიგის ყურეში, 17 აგვისტოს ღამით მტრმა გროს ეკაუ ნეიგუტის რკინის გზიდან ჩრდილოეთით შემოუტია; მათ შემოტევის მდ. მისსეზე ვაჩერებდით. ფრიდრიხ-შტაეტის ჩრდილო-დასავლეთის, 16 აგვისტოს მტრმა მდ. დვინაზე გადმოსვლა სცადა; მაგრამ შეეფერეთ. გადმოსვლები დვინის მარჯვენა ნაპირზე უკუ ვაქციეთ. ფრიდრიხ-შტაეტთან გრივალისებური ცეცხლის შემწეობით მტერს 16 და 17 აგვისტოს ღამით ჩვენი ხიდის წინა პოზიციებზე გააფთრებული იერიშები მოჰქონდათ, მაგრამ მოვიგერიეთ და თან დიდი ზარალი მივაყენეთ. ვილიას მარჯვენა ნაპირზე ჩვენ შევუტეთ, და 17 აგვისტოს განმავლობაში მარჯვენა გმოქმედებდით. ვილიასა და ნემანს შუა ფრონტზე მტრის შემოტევის ვაჩერებთ, ზემო ბობრზე 16 და 17 აგვისტოს განმავლობაში ლიპსკის და სიდრის რაიონში გერმანელების იერიშები ხელახლა მოვიგერიეთ. გროდნასა და დაბა გოროდეც შუა ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გოროდეცის რაიონში, 17 აგვისტოს მტრის ორი იერიშში მოვიგერიეთ ვლადიმერ ვოლინსკის რაიონში სოფ. სვინიუბიდან აღმოსავლეთით გერმანელების იერიშების მოგერიების ღირს 200 ტყვე წამოვიყვანეთ. გალიციაში ხანგრძლივი სიწყნარის შემდეგ, 16 და 17 აგვისტოს, ავსტრია გერმანიის ჯარმა მთელ ფრონტზე ენერგიული იერიშები დაიწყეს. შემოტევის წინ უძღოდა მძიმე და მსუბუქი არტილერიის საშინელი ცეცხლი. ზოლოჩევიდან ჩრდილოეთით მტერს განსაკუთრებით ძლიერი იერიშები მოჰქონდა. პომორიანი ზოროვის რაიონში, მდინარე სტრიპის ფრონტზე და ტარნოპოლისაკენ და ჩორტკოვისაკენ მიმავალ რკინის გზებს შუა

ზოგიერთ ადგილას გერმანელებმა 8 იერიში მოიტანეს, მაგრამ ყველა მოვიგერიეთ, მტერს ზაანი მივაყენეთ და ბევრ ადგილას უკან დიდი სიჩქარით დავახვეეთ. ჩვენი კონტრიერიშების წყალობით მტერს წავართვით 30 იარაღი, 24 ტყვის მტყორცნელი და 3000 ტყვე წამოვიყვანეთ, მათ რიცხვში ნახევარი გერმანელებია.

**დასავლეთის ასპარაჟი.**

**პარიზი.** 17 აგვისტო. ჩვიდმეტ აგვისტოს საღამოს ხანს არგონის ზოგიერთ ადგილში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. დავუშინეთ აგრეთვე ხელით სასროლი ყუმბარები და ნაღმები. მტრის სანგრები კურტშორესთან, მერისონთან და ბოლანდთან სერიოზულათ დავაზინეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარე იყო.

**პარიზი.** 17 აგვისტო. როგორც საღამოს დეპეშები გადმოგვცემენ არტუსთან და კენგეერის რაიონში ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მტრის სანგრეები და მიუახლოვდა გერმანელების წინა პოზიციებს. არგონებში რამდენჯერმე ჩავაჩუმეთ მტრის ზარბაზნები. ლოტარინგიაში-მონსელიის, ბეზანჟის, ბაზელის მახლობლათ, და აგრეთვე ვოგეზებში რაბოლოს, ლონუას და ლენეს რაიონში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

## ომის ამბები.

**გამარჯვების იმედი.**

საფრანგეთის სამხედრო მინისტრის ამხანაგმა, სოცილისტმა ტომასმა გამაზნევებელი სიტყვით მიმართა „კრებოს“ ქარხნის მუშებს და სხვათა შორის შემდეგი სთქვა:

„ჩვენ ხშირათ ვლაპარაკობთ გამარჯვებაზე; ეს იმიტომ რომ ჩვენმა ცდამ დაგვარწმუნა, რომ გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩეს. ჩვენ ამაში წინადაც ვიყავით დარწმუნებული, ვინაიდან ჩვენ ჩვენი უფლებას ვიცავთ; დღეს კი, როცა აუარებელი სამხედრო მასალა და ახალი იარაღი მზადდება, ახალი სახელოსნოები იხსნება და ძველი ფართოვდება, შეიძლება ვინმე დაეკვდეს ჩვენს გამარჯვებაში?!

თუ დღეს გერმანია მხოლოდ იმის ცდაშია, რომ როგორმე მალე დაამარცხოს რუსეთი და უკანასკნელი ბრძოლა მისცეს მას, ეს იმართა, რომ მას აწინდელი მდგომარეობა კარგათ ესმის; მისი

ინტერესი მოითხოვს ახლავე დაამარცხოს მტერი, თორემ შემდეგში ამას იგივედარ შესძლებს. მისდა საუბედუროთ იგი მას ვერ აღწევს.

ამიერიდან იგი დალუბულათ უნდი ჩაითვალოს: ინგლისი თავის სამხედრო მრეწველობის მობილიზაციას მთელი თავისი ძალ-ღონით უკვე შეუდგა. ჩვენი მოკავშირე რუსეთიც ამას დაადგა; ჩვენი მრეწველნი ხომ სასწაულს ჰქმნიან: სულ ახალ-ახალ იარაღებს იგონებენ! გამარჯვება თავს დაგვტრიალებს, ამხანაგებო, და ახლა საქმე თქვენზეა: მოიწვევთ მას ჩვენს მხარეზე, თუ არა!\*

**გარდაეხლეთ პროკლამაციები ძალად რიგაში.**

1 აგვისტოდან გერმანელები ხშირათ ჰყრიან ჰაერობლივებიდან რიგის სხვადასხვა ქუჩებში აუარებელ პროკლამაციებს; ერთ მთავარ ქუჩაზე პროკლამაციების მთელი ზეინი ნახეს; ნახეს აგრეთვე სამხედრო დროშაც. თუ რა შინაარსის იყო პროკლამაცია, ამას გაზეთები ვერ გვაცუბობენ.

**გარდაეხლეთ ცეკვილინი უსტ. ღვინისაჲ.**

1 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ციხე უსტოღვინსკს თავს დასტრიალებდა ცეკვილინი. დანახვისთანავე რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს მას; მაგრამ იგი მაშინვე მალა აფრინდა და ტყვია აიცილია. მერე ორი მფრინავი რუსი გაემზადა, რომ ჰაერობლივით შეტაკებოდა მას, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდნენ ისინი ცეკვილინს, მან ტყვიის მფრქვეველი მოიმარჯვა და უკან გააბრუნა ცეკვილინი და ბრძოლის შემდეგ ზღვის ნაპირებისაკენ გაფრინდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ 'იქ, რიგის ყუარის ახლო ნაპირზე აქვს მას ბინა, საიდანაც იგი ხშირათ გადმოფრინდება ხოლმე და ციხე სიმაგრეების პლანებს იღებს.

**რუსეთის აგავი.**

**ახალი კურსები.**

შინავსკის უნივერსიტეტში, მოსკოვში 1 ოკტომბრიდან დაწყებული 1 აპრილამდე

**ცხვარი.**

(გან-დრუბას).

სამს პირუტყვს გადავეყიდე: ქოფაკს, კატუნს და ხვადას; ვერ მოვრჩი იმთ გოდლომას, ძან უმატეს მადასა.

ჩემს გულ ღვიძლს ერბოდ ხმარობდენ იცხოვრებ მსუქან ქადასა, თათები დაქონილი აქვს ფისიკოს—მუცელ-მწვადასა.

ხვადო, ვსთქვით, ქოფაკს არ ესმის ან კატუნს შენოდენია, იმთ მაგივრად თავისა შენ მაინც არა გრცხვენია?!

თუ პირუტყვთ სიყვარულობით შევიღმა და მამამ გარგენით, ნებას რად აძლევთ თქვენ თავსა, რომ გითხრათ „დაიკარგენით“!

რად გინდათ ცაცხან-ტატანი, გარედ გარეკვა ძალადა, მომშორდით თქვენის ნებითა, თავს ნუ გაიხდით მყრალადა.

რაც მკამეთ, ღმერთმა შეგარგოთ, ალალი იყოს თქვენზედა; დღეიდან ნულარ შეჯდები შენ მაინც ქაჯის ცხენზედა.

რილამდე კოოპერატივების და ინსტრუქტორების მოსამზადებლოთ გახსნილი იქნება კურსები. კურსებზე მიიღებენ მხოლოდ მაღალ სწავლა დამთავრებულთ და იმათ, ვისაც შინავსკის უნივერსიტეტში იურიდიული განყოფილების სამი წლის კურსი მოუსმენიათ.

**თავრიდის სასახლეში.**

11 აგვისტოს, მინისტრთა სიბჰოს თათბირი ჰქონდა გამართული თავრიდის სასახლეში, სადაც აღძრეს სხვათა შორის კითხვა, თუ როგორ შეუთანხმონ ერთმანეთს მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობა იმ რეფორმების გატარების ნიდაგზე, რომლებიც შეიძლება ახლავე იქნას წამოყენებული სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობასთან შეთანხმებით.

როგორც ამბობენ, გზათა მინისტრის, რუხლოვის გარდა, ყველა იმ აზრის იყო, რომ დღევანდელ მომენტში სათათბიროს უმრავლესობასთან შეთანხმებული მოქმედება აუცილებელი ხდებოდა.

**უსლოეთის აგავი.**

**საქმე როგორცა სხვანაირათა.**

ინგლისში იმასწინათ ვალისის ქვანახვირის მადნების პატრონებსა და მუშებ შორის უთანხმოება ჩამოვარდა; საქმეში მინისტრი რენსიმენი ჩაერია და მან, როგორც მედიატორემ, მოადგენი როგორც იყო მთავარ კითხვებში მოარიგა რენსიმენის განაჩენით ორივე მხარეს შეუძლია წინასწარ გაუფრთხილებლათ და არღვიოს კონტრაქტი, თუ კი შემრიგებელი კომისია მათ შერიგებაზე უარს აცხადებს. მინისტრის დადგენილებით სამუშაო ქირის მინიმუმი 5 შილინგს (1,60 კაპ.) უნდა უდრიდეს.

**სახელმწ. სათათბირო**

(18 აგვ. კრება)

ჯერ როძიანკო თავმჯდომარეობს, შემდეგ ვარუნ-სეკრეტი.

ბასაკევმა, ჩხეიძემ, ვერშინანმა, შუბანსკიმ და შმაკევმა ილაპარაკეს კო-

კი არ გეგონოს სინდისი პრასა და ნიახურია, მოიქცე ნამუსიანად თუ თავზედ ქული გხურია. შამ მღვამელი.

**ერთი დღე სოფლად.**

(განცდა)

(იხ. შემდეგი სემპობლო № 117, 118 და 119)

თუ გაიხსენებთ, მკითხველო, რუსეთის გამოჩენილ მწერალს მაქსიმე გორკის ერთი მეტად ჩინებული და დამაფიქრებელი სტენა აქვს პიესა „На дне“-ში (ფსკერზე). როდესაც ცხოვრებისაგან გამოპოტებული და იმავე ცხოვრების მგომბელი „ბოისიკები“ ერთად შეგროვდნენ და სატინის მეთაურობით, გულის მოსაფხანათ სიმღერა დააგუგუნეს:

მზე ჩადის და მზე ამოდის ჩვენ საკანში მაინც ბნელაო, კარებში ვინმე „ბარონი“ გამოჩნდა და შეჯვებოთ თავის ანხანაგებს: — იქ... უღამბოში... მსახიობმა თავი ჩამოიხრჩოვო!...

ყველას ხმა ჩაუწყდა, ამხანაგის თავგანწირვამ, მისმა ტანჯული ცხოვრების

პერტივების და კავშირების შესახებ საკანონმდებლო წინადადების შეტანის თაობაზე. ამ საკითხის გამოსარკვევათ ერთხმით აირჩიეს კომისია.

კითხულობენ მთავრობისადმი შეკითხვას—რა მდგომარეობაში არიან პოლონეთის ქალაქებში დაპატიმრებულნი და რუსეთის სხვადასხვა ციხეებში დანაწილებული მოქალაქენიო.

გარუსევიჩი ასახელებს რამდენსამე მაგალითს იმისას, თუ როგორ აპატიმრებენ ხალხს ვარშავაში. პოლონელთა კერძო სკოლების 22 მოწამე 25 აპრილს ქალაქს გარედ სასერიწოდ წავიდნენ. ყველანი დააპატიმრეს და გაჩხრიკეს. არიფერი უპოვნიათ, მაგრამ ყველანი ჯერვილნაში გაგზავნეს, ეხლა ხარკოვის ციხეში არიან. მოჰყავს რამდენიმე მაგალითი მაძებარ პოლიციელთა დაბეზღებით უღანაშაულო ხალხის დაპატიმრებისა.

როდინიჩვიც აღნიშნავს, რომ მთავრობის მოქმედება სრულიად არ შეეფერება მის მიერვე ავტონომიის დაპირებასაო.

ჩხეიძე ამტკიცებს, რომ მწარმოებელნი სარგებლობენ აუარებელ მუშა ხელის შეჯგუფებით და ისედაც მცირე ხელფასს კიდევ უფრო ამცირებენ.

სათათბირო შეკითხვას ერთხმით ლებულობს.

ლებულობენ კანონ-პროექტს მიეცეს სახელმწიფო ბანკს უფლება ომისაგან გამოწვეულ მწვავე კითხვების მოხსნამდი, გამოსცეს ერთი მილიარდი ქალაქის ფულის გამოშვების უფლების ჭაფართობის შესახებ. მომხსენებელი შინგარიოვი აღნიშნავს, რომ ომის დაწყებდან მთელმა რიგმა სახელმწიფოსამ, გარდა ანგლისისა, შეაჩერეს ქალაქის ფულის გამოცემა ოქროს ფულის თანაბარად, მაგრამ შემდეგ დაავალა საკრედიტო დაწესებულებებს კიდევ გამოეშვათ ქალაქის ფულები. ფინანსთა მინისტრის ცნობებით 1915 წელს მი ომის საქიროებაზე დაიხარჯება 7 მილიარდი 242 მილიონი მანეთი, ხოლო ჩვეულებრივ ბიუჯეტით განსაკუთრებულ 2 მილიარდ 847 მილიონ

მანეთთან ერთად შეადგენს 16 მილიარდ მანეთს. საკრედიტო დაწესებულებათაგან 1 იანვრიდან არის უკვე 4 მილიარდი და 181 მილ. მანეთი. მოელიან ჩვეულებრივ შემოსავლისგან 2 მილიარდს და 796 მილიონ მანეთს. საქიროა კიდევ სესხი 3 მილიარდი და 200 მილიონი მანეთი. ჩვეულებრივ შემოსავალში მოსალოდნელია 336 მილიონის დაკლება. არაყის მონოპოლიის გაუქმებით შემოსავალი 8 მილ. მან. მცირდება.

შინგარიოვის აზრით არაყის მონოპოლიის მოსპობამ რუსეთს პოლიტიკურ მარალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი სარგებლობა მოუტანა და დღემდ შემოსავლის დანაკლისის შევსებაში მთავრობას უნდა დაეხმაროს. მეტედ მძიმე ომი რუსეთის სასელმწიფოს დიდ მოვალეობას აკისრებს. სახელმწიფომ უკვე ისესხა 6 მილიარდი, კიდევ ისესხებს იქნებ მეტსაც, მაგრამ ომს მაინც გამარჯვებამდი მიიყვანს.

შინგარიოვი ბევრს ლაპარაკობს რუსეთის ფინანსების შესახებ. 1915 წელს სახელმწიფო ხარჯი უდრის 7 მილიარდს და 242 მილიონ მანეთს. სხვა ხარჯებთან ერთად სულ 10 მილიარდი იქნება. შემოსავალი რომ გამოვაკლოთ, სასესხებელი იქნება კიდევ 3 მილიარდი და 200 მილიონი მანეთი. საქიროა სამინისტრომ ცალკე იმოქმედოს, საქიროა იგი სათათბიროს შეუთანხმდეს, საქიროა აგრეთვე სწორი საეკონომიო პოლიტიკაო.

**ჩვენი სკოლები.**

(საზოგ. „განათლების“ და „სინათლის“ გადაწყვეტილების გამო).

(გაგრძელება იხ. „სამშობლო“ № 156). სწავლა რომ სინათლე და უსწავლელობა სიბნელე, ეს დღეს ყველამ იცის; ეროვნულ ნიდაგზე განათლების აუცილებლობაზე წერთაც ბევრი მელანი და ხარჯულია ჩვენი. მაგრამ დავანებოთ თავი ყველამ ამ საანბანო ქეშმარიტებაზე ლაპარაკს და პირდაპირ ვკითხოთ ჩვენს თავს რა გზით უნდა დავიწყოთ ნაციონა-

ეს ეს „თავისუფლება“, ახირებული მცნებაა! ყველას თავისებურათ ესმის ეს სიტყვა და რაკი უმრავლესობა წაბაძვითა და წახედულობით ცხოვრობს, ქართველი მწერლის პიროვნება და გულის-თქმაც იღვსება უმრავლესობისაგან შექმნილ ორამტრიალში...

აი, აქ არის დასაბამი და განგრძობა ქართველი მწერლის ტანჯულისა და დამცირებულის ცხოვრებისა!...

ნეტა როდის დაიშხვრევიან ბჭენი ქართველი მწერლის საკანისა, ნეტა, როდის მიეცემა ქართველ მგოსანს საშუალება თავისუფლად მომართოს ხოლმე სიმები თავის ჩანგისა და ოცნებით მაინც იფრინოს ისეთ ქვეყანაში, სადაც ხელი არა აქვს სიბინძურეს გაპირუტყვებული იდამიანისას!...

თორმეტი წუთით დავრჩით ზესტაფონის სადგურზე, მაგრამ ეს თორმეტი წუთიც საკმარისი იყო, რომ აგწონ-დაგეწონათ, შეგეგნოთ და შეგემცნოთ ფუქსავატობა ბრბოისა, უწყობა და—ასევისთქვათ—დამცირება პიროვნებისა.

ვაგონში ვილაყას ხურჯინი დაპარგოდა... იყო ერთი ჩოჩქალი და ვაივაგლახი! თანდარმები გავეშებულნი დარ-

ტანჯულმა ბოლომ უკანასკნელი აკკორდი სიმღერისა გააწყვეტინა მათ და სიმაჩრისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

მხოლოდ ყველაზე უფრო გულგატეხილმა სატინმა აინუშმიც არ ჩაიგდო ეს ამბავი და ხმა დაბლა წაიღულუნა.

— ეხ, სიმღერა შეგვაშლევინა, იმ სულელმაო!...

სწორედ ასეთი „სისულელე“ შემოიქრო ჩემ ცხოვრებაშიც და გულის სიდრემში ჩამარხული განცდა ჩემი, დროებით დაფუშა, დააბნელა, არივ-დარია.

ერთხელვე დაწყობილი სიმღერა ჩემი, სიმღერა გულისა და თაიგული გრძობათა—ფხეჭვემ ჩაიგდო უწმინდურმა, მამდარა აღამიანმა და ეს ჩემი ერთად ერთი ნუგეში, ეს ლოცვად გამზადებული გათავისწინება ჩემი, ქუქუქიანი ხელებით ყოველ დღე მწერლის მანობაში გადიხროლო!...

უბედურია ქართველი მწერალი!... მას იმასაც კი არ აცლიან, რომ ერთხელვე დაწყებული ჰანგი სიმღერისა და ასრულოს და კენეს თავის გულისა, განცდანი თავის არსებისა ქალაქდზე გადიხროლოს, რომ ერთი წუთით მაინც ამოიუნთქოს თავისუფლადა...

# საქართველში. სასულიერო.

გაზ. „სამშობლოს“ კანტორა პატივისცემით მოგვანებს ამ ხელის მომწერს, რომელმაც სვედრი ფული არ გადაუხდიათ—ნუდარ დაუფინებენ ფულის გამოგზავნას.

ამასთანავე კანტორა აცხადებს თვით ხელის მომწერს, რომ პირველ კენისთვიდან თვით რათ გაზუთის გაწერა არ შეიძლება. ვისაც გაზუთის დაკვეთა სურს, უნდა დაიკვეთოს არა ნაკლებს სამი თვისა. პირველი კენისთვიდან წლის დამკვეთადი გაზუთი ღირს 3 მ. და 1 აბაზი.

გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია და კანტორა.

ლური სკოლის შემნა-ზვიდან თუ ქვემო-დან, სახურავიდან თუ საძირკველიდან, დაბალ სკოლებიდან, თუ საშუალო სასწავლებლებიდან?

„განათლებას“ და „სინათლეს“ ჰკონი-თ რომ ახლათ შობილ ბავშვს უწინ სა-ვაჟაკო ტანსაცმელი უნდა შეუკერო და ჩააცვა, მერე კი საბავშვო, ჯერ ბანი უნდა სთქვა და მერე ანიო, ეროვნულათ გაუნათლებელ-ხალხს ჯერ საშუალო სასწავლებელი უნდა მივსცეთ და მერე დაბ-ლისკენ დავუქანოთ.

ჩვენ კი ძირიანათ ვეწინააღმდეგებით ამ ფორმულას დღევანდელ პირობებში და გადაჭრით ვამბობთ, რომ ქართული ეროვნული სკოლა უნდა შეიქნეს დაბალ საფეხურიდან და საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები გვირგინათ უნდა მოვე-ლინოს მას.

თი ჩვენი მოსაზრებანი:

ჩვენივე თავის მოტყუილება იქნება თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი ქართველობა ეროვნულის ცემენტით საკმაოდ არის შე-დუღებული და ჩვენი სამშობლოს თითო-ეული კუთხე მაგრათ არის გადაბმული ეროვნულ ცენტრზე ნაციონალური კულტურის ჯაჭვებით. ქართლ-კახეთი, მთი-ულეთის ნაწილი, გურია, იმერეთი და რაქა-ლენხუმი ამხრავ უზრუნველყოფი-ლათ უნდა ჩაითვალოს; ჩვენი სამშობლოს ეს ნაწილები ავათა თუ კარგათ ეროვნულ კულტურის ცენტრათ უნდა გავი-ჩინოთ, ამ ადგილებში მაგრათაა ჩაყრილი ქართული ეროვნულ კულტურა, ძვალ რბილში აქვს იგი გამაჯდარი ხალხის უმე-ტესობას და მიუხედავად იმისა, რომ ძლი-ერი იერიშები მიჰქვს მასზე გამარჯვებულ ბოლიტიკას, ეროვნული ზღუდე მაინც

შეურყველათაა და თან და თან მაგრ-დება.

სულ სხვა სურათი გადაგვიშლება თვალ-წინ, თუ დავიკვირდებით ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილებს, განაპირა ადგილებს: საი-ნგილოს, სვანეთს, სამეგრელოს უმეტე-სობას, აფხაზეთს, კინტრის ნაწილს, აქარსა და ახალციხის მხარეს. უნდა გულახდით და გამოტყვილით ვსთქვათ, რომ ქართული კულტურა ამ ადგილე-ბში შესამჩნევად მოიკოჭლებს, საქართვე-ლოს ცენტრთან ეს ადგილები კულტურ-ულათ ერთობ სუსტათ არიან გადაბ-მული და რომ ერთი სახელმწიფოებრივი ჩარჩო არა, შეიძლება ჩვენს ეროვნულ ურემს საგრძობლათ დაუწყოს ღრიჭინი. ვიმეორებ ვიყოთ გულახდით და ვილა-პარაკოთ ფაქტებით.

აი რას ვკითხულობთ არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველ ტომში (50 მ.) სა-ინგილოს შესახებ: „რა დავართა ამ მხა-რეში ქართულ ენას და ეროვნულ შემე-ცნებას?... მესამოცე წლებში დაიწყეს თუ არა ქრისტიანობის აღდგენა საინგილოში მისწვდენ ვინც კი ქართველი ნახეს უნ-დოდათ ყველასთვის ქრისტიანობა მიე-ღებინებიათ“. ამით საქმე იქავე მისულა, რომ ახლა მუსულმან ინგილოს რომ ჰკი-თხოს, ვინა ხარო თამამათ ვიპასუხებს, თა-თარი ვარო... დამფრთხალი ინგილო დღეს ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავისი თა-ვი ქართველათ არავის აჩვენოს და სკდი-ლობენ თავიანთ შორის ქართველობის ნასახიკ კი ამოადგონ. ამის გამო გურ-ჯისტანის ზოგიერთ სოფელში ამ გვარი დადგენილება კი იყო, რომ ქართულათ არ ვადაზარაკათ, არამედ მუსულმანურათ, ასე-თივე დადგენილება გამოუტანიათ სოფ. მარსაანშიც.

თუმა ბროლის მკლავები თხელი ღრჩაქით დაეფარა და მთლად ვნებათ ქცეული, სანთელივით ანთებული, წყალმორეუ-ლის თვალებით უხმოდ ეალერსებოდა შოლტივით მოქნილსა და ხარირემივით სიცოცხლით მფუზინავ ახალგაზრდა ვაჟს, —რომელიც სიღვურის გამოსავალ კა-რებთან ჩამომდგარიყო და ვეფხვივით გა-მოჰყურებდა ვაგონის ფანჯარაში მდგომ ნახევრად გატიტვლებულ, სპილოს ძვლისა-გან გამოქანდაკებულ ცირას...

ესენი უცხოები უნდა ყოფილიყვენ ერთმანეთისათვის, მაგრამ იმ ეხმად, აღ-ბად, გული ერთგვარად უცემდათ და ერთ-მანეთის ზრახვანი გაგებულნი ჰქონდათ...

— Живо! лови его! წასჩურჩულა ერთმა ჯანდარმა მეორეს და კვლავ თვა-ლით აჩვენა იმ დაფლეთილ მგზავრზე, რომელიც ახლა მხოლოდ ღამაზ ცირას შეჰყურებდა პირდაღებულნი.

ასე გააცვიფრებს ხოლმე მშვენიერება უბირ ადამიანსაც კი...

ჯანდარმი ფეხ აკრებიდა და მიხვევ-მობვევით გაძვრა ბრბოში, უკანიდან მიე-პარა საცოდავ მგზავრს და საყელიაში სწვდა...

გავიგონე, რომ საბრალომ ცოკანივით დაიჩხვავა, მაგრამ შემდეგ რა მოუვიდა, აღარ ვიცი...

დამეთანხმებით, რომ ქართული ეროვნული კულტურა აქ გაქრობის გზაზე შემდგარა. მერე ჩვენ რა ღონეს ვხმარობთ მის აღსადგენათ და გასაძლიერებლათ? არაფერს.

სვანეთი ქართველთა მოდემის ხალხია, მაგრამ სხვა ენით (თუმც ქართულის მო-ნათესავე) ლაპარაკობენ, ახალი ქართული კულტურა აქაც ძალიან მოიკოჭლებს; ჩვენც არ ვცდილობთ იქ რაიმეს და სვა-ნების ზედ-იღბალი გამარჯვებულ სკოლებს მივანდეთ, რომელნიც, აქვე უნდა ვსთქვათ, თითქმის ცარაილნი არიან და თავიანთ მიზანსაც ვერ აღწევენ.

როგორია მდგომარეობა სამეგრელოში? ამ კუთხის შესახებ ჩვენ მიერ ნათქვამი შეიძლება, ვინმემ ერესათ ჩათვალოს, მაგრამ მე მაინც მინდა ვსთქვა ის, რაც მინახავს და გამიგონია. ამ კუთხის ზო-გიერთი ნაწილი ახლო არის საქართვე-ლოს ცენტრით და ასე თუ ისე უკვე ზი-რებულ არიან ქართულ თანამედროვე კულტურას; აქ ბევრ ადგილს მეგრულათაც კი არ ლაპარაკობენ. შიგა და შიგ კი მეგრული სკოლობს და ქართული ზნით არც კი ესმისთ. როდემდის იყოს ხალხი ასეთ მდგომარეობაში? განა ბიუ-როკრატის უნდა მივანდოთ მთი ბედი? რა უნდა ქნას მართა სენაკის ქართულმა სკოლამ, რომელიც აგრძედა სამეგრელოს ისედაც კულტურულ ადგილსა? მოვიყ-ვან ერთს მლაღდებელ ფაქტს: ხონის სემინარიაში, როცა მოსწავლეებს ქართუ-ლის სწავლებას დაუწყებენ ხოლმე, მეგ-რულ შეგირდებს ცალკე გამოყოფენ და იმ ყმაწვილებთან, რომელნიც სამი-ოთხი წლის შემდეგ მასწავლებლნი უნდა გა-ხდნენ, თითქმის ქართული ანბანიდან იწყებენ ქართულის სწავლებას, ვინაიდან მათ არც ოჯახი აძლევს ქართულის ცოდ-ნას და არც სკოლა. ნუ გაგიკვირდებათ, ეს ნამდვილი ფაქტია. და კიდევ იტყვის ვინმე, რომ სამეგრელოში დღევანდელი ქართული კულტურა მეფობსო.

რა მოხდა აქარაში და როგორ შემოგ-ვაგვირებია იგი 1877 წლის აქეთ, ეს ყველამ ჩვენის თვალთ დავინახეთ და

მატარებელი დაიძრა და ქაქანი თავ-ქმე დაეშვა.

ვიდექ ფანჯარასთან და ნახული სურათი თვალისაგან არა მშორდებოდა...

ხან აქ, ხან იქ—მატარებლის კოწია-წის დროს—მომეჩვენებოდა ხოლმე საბ-რალო მგზავრი, ან გამოხტებოდა ხოლმე მშვენიერი ცირა ღანდი და ანთებულის თვალებით ვეფხვ-ვაჟს თავისკენ იწ-ვევდა:

— მშვენიერი მშვენიერ ბუნების წილ-ზე დავსტკებოა...

ამდროს ვილაცამ—ისეთი მუხლუკუ-ნი წამკრა, რომ თვალებიდან წინწყლები გადმომცვივდა.

— ნელა ვერ გაივლი მეთქი, შე ხეპ-რე!—მივამახე...

— ხეპრემ ხე არც კი გამცა და ჯლი-გინ-ჯლიგინით განაგრძო გზა და დასაჯ-დომი ადგილის ძებნა...

გაჰქრა ოცნება...

გაჰქრა ქანდაკება მშვენიერის ცირასი, გაჰქრა ღანდიც ვეფხვი-ვაჟაკისა. ჩემს გარშემო მგზავრები ქერებზევით ეყარენ და ვიწროობის გამო ერთმანეთს ებუზ-ღუნებოდნენ.

— ეს, სინამდვილე, სინამდვილე! რა სადა, ქუჭკიანი და უღმობელი ხარ!..

ი ა მ ა ლ ა მ ე .  
(შემდეგი იქნება).

დღესაც ვხედავთ. მხოლოდ ახლი ვხე-ლობენ ისინი, რომ ქართველები ყოფი-ლან. ასეთივე მდგომარეობა დასალოცე-ბით ახალ ციხის მხარეში და ჩვენს მო-ნათესავე აფხაზეთშიც.

ერთის სიტყვით, ჩვენი სამშობლოს გა-ნაპირა ადგილები ქართულ კულტურის გარეშე დგანან და არც ვიცი, თუ რო-დის დადგება ის ბედნიერი წამი, როდესაც ეს კუთხეებიც გახდებიან ჩვენი ეროვნული ცხოვრების მოზიარენი. და თი, ამ დროს, როცა ამოდენა სამკალი გვახვევია ირგვლივ, როცა ამდენი სულიერათ მშო-ერი ძმა შემოგვცქერის, ჩვენ ქუთაისსა და თბილისში-განათლების ცენტრებში—საშუალო სასწავლებლებს ვხსნი. ვაძრებთ ისეთ სკოლას, რომლის საძირკვლამდის კი არ მიუწვდებათ ხელი დასახლებულ კუთხეებს. ერის ასალორძინებლათ, საქი-როა პირველ დაწყებითი სკოლა, ანბანი და ჩვენ კი უმაღლესი მატერიებით ვიწ-უებთ საქმეს.

მერე და ჩვენ ხომ მართა ამ-განაპირა ადგილებისთვის არ ვაძრებთ ამ სკოლებ-სო,—მეტყვიან და თანაც დაუმატებენ: ჩვენ უნდა გავძლიერდეთ ცენტრში, რომ შემდეგ აქედან დავიპყრათ პერიფერი-ებიო.

ვნახოთ რამდენათ საბუთიანია ეს მო-საზრება.

შ. ღრუბელიანი.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი.

18 აგვისტოს, დამით, პოლიციელებმა ჩამოიარეს ის ოჯახები, სადაც იმყოფე-ბოდნენ შარშან მობილიზაციის დროს გა-თავისუფლებული სათადარიგო ჯარის კა-ცები. ასეთი პირები ყველა სამხედრო საკრებულოში წარადგინეს შესამოწმებ-ლათ.

როგორც ვიცი, მდგომარე წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისში გაიხსნება 8 კლასიანი კომერციული სასწავლებელი. პირველათ გახსნილი იქნება ორი მოსამ-ზადებელი განყოფილება და პირველი კლასი, შემდეგ კი ყოველწლივით მოე-მატება თითო კლასი. კომერციული ცო-დნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება უკვე მიიღო. ამ წესდების ძალით ებრა-ელთა ბავშვების რიცხვი შეზღუდული არ იქნება, ისინიც ისეთი უფლებებით ისარგებლებენ როგორც მართლმადიდე-ბელნი. სასწავლებლის დირექტორათ მო-წვეული არის ქუთ. კლასიკური გიმნა-ზიის დირექტორი ბანი კოტილევსკი.

◆ ქუთაისის საშუალო სასწავლებელ-ში ხელმეორე გამოცდები უკვე დაიწყო. ნორმალური სწავლა ყველა კლასში 1 სექტემბრიდან დაიწყება.

◆ 18 აგვისტოს საღამოს 9 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში სა-მხედრო სამრეწველო კომიტეტის თავ-ჯდომარის ი. მ. ჩიქოვანის თავჯდომარე-ობით მოხდა ამავე კომიტეტის გამგეობის კრება, რომელსაც დაესწრა გ. ფ. ზღა-ნოვიჩი, პ. ი. მოსიძე, ი. ი. პურადაშვი-ლი და ინჟინერი ცეიტლინი. თავჯდომა-რემ კომიტეტს მოახსენა სრულიად კავ-კასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის განცხადება იმის შესახებ, თუ რა საწო-ვადის დამზადება შეიძლება ქუთაისში ომის აუცილებელი საჭიროებისათვის. კრებას

აგრეთვე დაესწრონ რამდენიმე ვიქარი, რომელთა დახმარებითაც გამოირკვა, რომ ქუთაისში შეიძლება იშოვონ 10,000 ფუთი მოცვის ჩიი (შხადლება ერთბაში უმეტესად) 1500 ფუთი ხახვი და 500 ფუთი ქარხალი. სხომას მოხსენდა აგრეთვე ტყავის საჭიროება, მაგრამ ქუთაისი ტვი-თონ უტყავობას განიცდის.

◆ კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარია ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგეს სთხოვს გაუზიაროს მას ანგარიში, შედგენილი უკანასკნელი კლასის მოწაფეების ეგზემენების ჩაბარების დროს.

◆ ქალაქის გამგეობამ გამოსცა ცალკე ფურცლებით დადგენილებანი ხოლერის საწინააღმდეგოთ.

უკლებს სანიტარული მზრუნველების კრებაზე არჩეულ იქნა ყოველი ქუჩიდან რამდენიმე კაცი, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ ყოველივე სისუფთავეს მათ თავის უბნების გარდა შეუძლია შენიშვნა მისცენ სხვა უბნების მცხოვრებლებსაც.

◆ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ნ. გორბუნოვი აცხადებს, რომ ის ბავშვებს, რომელნიც საშუალო ნიშნები მიიღებენ და რომლის მშობლებიც ომში არიან გაწვეულნი, ყოველივე კონკურსს გარეშე მიიღებინანო.

◆ ბათუმის ქალაქის მოურავათ არჩეულ იქნა ი. ზ. ანდრონიკაშვილი. იგი გავიდა 28 ხმით 14-ს წინააღმდეგ.

◆ ქალაქის განაპირა ქუჩების ვაჭრები ამ ბოლო დროს ძლიერ უწყესოთ იქცვიან. ყოველივე სანაგავს და ოჯახის სხვადასხვა საჭირო საგნების ფასს ყოველ დღე უმატებენ. მაგალითად საპონს 6—7 შაურ ნაკლებათ არ ჰყიდონ და სხვა საჭიროა ყურადღება მიექცეს.

◆ როგორც სოფ. ახალქალიდან (ლეჩხუმის მაზ.) გვწერენ, ახალქალის წმ. გიორგის ეკლესიაზე საგვარეულო სასაფლაოში დიდი ამბით დაკრძალეს ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ი. დ. გელოვანი. მიცვალებულის კუბოს ამშვენებდა 30 ხელოვნური და ცოცხალი ყვავილეთისაგან გაკეთებული გვირგვინი.

◆ ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთ. განყ. გამგეობის კრება მოხდება 28 აგვისტოს.

### თ-დ იასონ გელოვანის ხსოვნას.

(სიტყვის მახარება).

არიან აღამიანები... საკვირველია მათი ცხოვრება, საკვირველია მათი სიკვდილიც. ამისთანა აღამიანებს საზოგადოება სიციცხლეში სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა, სიკვდილს შემდეგ გულდათუთქული მწარე ცრემლებით უკან მისტირის და კიდევ უფრო აღიდებს, კიდევ უფრო ეთაყვანება მათ...

მერე რისთვის? რომ დააკვირდეთ, მათგან დანატოვარი მემკვიდრეობა მაინც და მაინც არ წარმოადგენს რაიმე შესამჩნევს თვალით დასახვას ღრუბულობას; არც მწერლობაში და არც სხვა საზოგადო მოღვაწეობის დარგში თქვენ ვერ ვპოვებთ მათ თვალსაჩინო კვალს. მიუხედავად ამისა დიდა, თვალსაჩინოა მწერლობა, გავლენა ამისთანა აღამიანებისა. რაშია საიღუმლო? რაშია და იმაშია,

რომ მთელი ღირსება ამ გვარ აღამიანებისა მდგომარეობს მათს ერთგვარ პირად მიმზიდველობაში, რაღაც საოცარს მიმზიდველობაში, რომელიც ერთ არ გამოიხატება, მაგრამ ყველას კი ატყვევებს, სამუდამოდ ჰხიზლავს. ამისთანა აღამიანს მოკლეც, მაგრამ ზედმიწევნით სიწორით ახასიათებს ხალხი:—**კაცური კაცობა...** ამ კაცურ კაცს ნაკლებად ენება ბევრი მოგზავება ხოლმე, მაგრამ მისი პირადი მიმზიდველობა ჰგარავს ყველაფერს.

სწორედ ამისთანა აღამიანებს ეკუთვნოდა თავადი იასონ გელოვანი, რომელიც უკლებლად, საკვირველად შემთხვევად გულიდან მოჰკლიჯა არა მარტო მის მოყვარულს ლეჩხუმელს, არა, ეს ძვირფასი დანაკლისი იგრძნო მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ განუტრეველათ წოდებისა და მდგომარეობისა.

იქნება ჩვენი საზოგადოება არც კი მოვლოდა იმ სიმწარეს, რომელიც მან იგრძნო იასონის დაკარგვით. დიდის ხნის განმავლობაში თვალი შევეჩვიეთ ჩვენ იასონს და არც კი გვკონდა წარმოდგენილი, თუ იასონის სიკვდილით რა საუნჯეს, რა თავისებურს საუნჯეს ვკარგავდით.

გავიღის დრო და, როდესაც ჩვენი საზოგადოება ჩვეულებისამებრ მოიყრის თავს საქვეყნო საქმეებზე სათათბიროდ, ვეღარ იხილავს ძველებურად დარბაისელს, თავისებურად, ტკბილად მოუბარს გულმხურვალე მიმუღიშვილს იასონს... მაშინ კიდევ უფრო იგრძნობს დანაკლისის სიმწვავეს და სევდით აღივსება იგი.

დიდი ხანია გაჭკრა, წაიშალა ნამდვილი ქართველის სახე... საზოგადო დაკრძანების, დაბეჩავების დროს იასონ გელოვანის მთლიანი არსება, მისი წაუშლელი, თავისებური სახე გამაზნეველ ნუგეშად მოვევლინა ჩვენს საზოგადოებას და სახელოვნად ჩავსვენა იგი საფლავში.

იასონის მახლობელნი კირისუფალნი და თქვენ, ძვირფასო ლეჩხუმელებო, რით განუგემოთ? თქვენ დაჰკარგეთ თქვენი სიამაყე, თქვენი სახელოვანი წინამძღოლი, მაგრამ განა მარტო თქვენ დაჰკარგეთ? მთელმა ქართველმა საზოგადოებამ დაჰკარგა ერთი ჩინებული ეროვნული წინამძღოლთაგანი, დაჰკარგა კაცური კაცი, სამშობლოს გულმხურვალე მოტრფილე, მისი წარსულით მოამაყე, მისი ბედნიერი მომავლის მონატრე...

ძვირფასო თავადო იასონ! მე ვიცი, შენ განსხვავებულად გიყვარდა ქუთაისი და უკანასკნელი შენი დღენიც აქ დალიე. შენი საყვარელი ქუთაისი ჩემის პირით უკანასკნელს, გამოსათხოვარს სალამს გიძღვნის შენ, როგორც მის წარჩინებულს მოქალაქეს. გწამდეს, რომ სანამ კაცურ კაცობას დაფასება ექნება, შენი მოყვარული ქუთაისი არ დაგივიწყებს შენ... ქუთაისის ქალაქის თავი ილ. ჩიქოვანი.

### ს ი ტ ყ ვ ა

თქმული დეკანოზი ა. ი. ასესიძის მიერ ვაჟაფშაველას დაკრძალვის დღეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში წაწავიდა. კვირას, 2 აგვისტოს.  
ჩემო თავო, ბედი არ გიწეოია!  
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვარია!  
ჩემო გულო, ტკბილათ არ გიძგერია,  
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტრია!

ბატონებო! აი ის სიტყვები საუკუნოდ დაუფიწყარისა უკვდავი მგონის აკაცისა, რომლებშიც მან გამოხატა არა მარტო თვისი პირადი უბედობა და მწარე ცხოვრება, არა თუ ბედისაგან განწირული და მუდამ გაუხარებელი მხოლოდ რომელიმე ქართველის აუტანელი ცხოვრება, არამედ მთელი საქართველოს სეე. და მართლაც რომ საქართველოს ბედი არ უწერია, მის ჩანგს ძალიან იწვიოთ თუ ეშხით უღერია და გულს ტკბილათ უძგერია. ამის დამამტკიცებელი საბუთი არის არა თუ მთელი ცხოვრება ქართველი ერისა მას შემდეგ, რაც კაცის ენამ პირველად წარმოსთქვა სიტყვა „ქართველი“ და კაცობრიობის საზოგადო ისტორიის კაბადონზე აღინიშნა მხარე „საქართველო“, არამედ თითოეული წელი ჩვენი უიღბლო ცხოვრებისა. ამიტომაც ეწოდება მას „მრავალწამებული საქართველო.“

თუ გენებავთ შორ-წარსულ წლებს ნუ მოვიხსენებთ, მოვიგონოთ ხლო წარსული 1907 წელი, როდესაც აბოშქრებული ცხოვრების დროს შვილი მშობელს ვეღარ სცნობდა და აღზრდილი აღმზრდელს. დროთა უკუღმართმა ტრიალმა უღმერთოდ, ვერაგულად გამოგვტაცა ხელიდან ქართველი ერის მეღვარი დარაჯი, სამშობლოს დიადი მოამაგე დიდი ილია. ან და მოვიხსენიოთ ის წელი, როდესაც უღმობელმა სიკვდილმა ხელიდან უღროოდ გამოგვტაცა საქართველოს ცხოვრების სწორ უპოვარი სისწორით ამწონდამწონი ბრძენი არჩილ ჯორჯაძე. ის გამოცდილებასა და ცხოვრების მეცნიერულ დაკვირვებაზე აფუძნებდა საქართველოს განახლების, აყვავებისა და გონებრივად. განვითარების გეგმას, მაგრამ არ დასცალდა ჩვენი უბედობის გამო და ცივ საფლავში ჩაიტანა თვისი ფიქრები. მისი გეგმა შეუვსებელი და განუხორციელებელი დარჩა. ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ამ დაწყევლილ და ისტორიაში გაუმეორებელ მდგომარე 1915 წელს, როდესაც მთელი კაცობრიობის საყოველთაო ომის საშინელი ქეჩა-ქუხილის დროს, ურიცხვი ყუმბარა მენხზე უძლიერესათ

სობენ აღამიანთა სიციცხლეს და ახადგურებს კაცობრიობის ქუჩა-ყურბებს და ძალ-ღონის საუკუნოებით შექმნილ სიმდიდრეს, როდესაც ღამის ცა და ქვეყანა ერთმანეთს შეასკდეს და ქვეყნიერების უკანასკნელ კატასტროფას დალუკავანადგურება მოყვეს, ხელიდან გამოგვეცალა ქუთის დამრიგებელი, გულში სამღმთო ცეცხლის აღმთები, ტკბილათ მატრებელი, მწარეთ მაინებელი და ყოველ შემთხვევაში იმედის მომცემი დიდი მგოსანი აკაკი. ამავე წელს უწყალო სიკვდილმა დაგვაობლა და ენა მუცელში ჩავვიგდო სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ გელოვანის უდროოდ დაკარგვამ. იმან ახალგაზდა სიციცხლე მოყვასთათვის განწირა და ამნაირათ აღასრულა ქრისტეს მცნება, რომელიც ამბობს: „უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის.“ (იონ. იუ. იგ.) იმ დროს გამოუთქმელი მწუხარებისა თუ სხვა გაუგებარი მიზეზებისა გამო მთლად ვერ ვიგრძენით მისი დაკარგვის სიმწვავესიმძიმე. მისი წარმომადგენლობა, მისი ძლიერი სიტყვა დაგვიკარდა ამა წლის 19 ივლისს. ამ შესანიშნავ ისტორიულ დღეს მთელი კაცობრიობის თვალ-ყური და გონება-აზროვნება თავრიდის სასახლისკენ იყო მიქცეული. ყოველი ერის შეგნებული და რჩეული შვილი, რომელსაც კი ანბანი მოგვობა და ერთი გაზეთი მაინც გამოუდის, ხელმომახადებული იყო, უნდოდა ელექტრონის სისწრაფით გადმოეტანა თავის გაზეთის ფურცლებზე და თავისიანებისათვის ეცნობებია-თუ რას იტყოდენ ამ სასახლეში დიდებული და უუფრცელესი რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა სახალხო წარმომადგენლები, მაგრამ ამ დროს აღარ გვყავდა ვარლამი და მაშინ უმუშევრესათ ვიგრძენით მისი დაკარგვის სიმძიმე.

დეკანოზი ივლიანე აბესაძე.  
(დასასრული სვალ)

რედ.-გამომკ. ი. თ. ცინცაძე.

## განცხადება. მ. შორსოლაძეები აუწყებს პატივცემულ რამდენიმე ვაგონს ს ი მ ი ნ დ ს, თათრსა და ყვითელ

რომელსაც გავყიდით ფშთს თხრამებ ვაშრათ. სიმინდს ვყიდით ქუთაისში ჩვენს საბაკალინო მაღაზიაში, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, ბრესილოში სადგურის პირდაპირ და ტყიბულის სადგურთან. ტყიბულის მუშტრებისთვის, ქუთაისში და ბრესილოში უკვე მიღებულია და თანაც ველით.

**თ. მთავრიშვილის და აშხ.**  
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას აშხ 1915/16 სასწავლო წლ. დაგზავებული აშხს ყოველწლიური

**ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,**  
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საშაფშილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.

თგ.